ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი

ბრძანება:**ბ14. 14233469**

თარიღი:**12/12/2023**

**ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების პრივატიზებისათვის ვადაგაგრძელებული უპირობო ელექტრონული აუქციონის გამოცხადებისა და აუქციონის თაობაზე გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის დამტკიცების შესახებ**

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების პრივატიზებისათვის ვადაგაგრძელებული უპირობო ელექტრონული აუქციონის გამოცხადებისა და აუქციონის თაობაზე გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის დამტკიცების შესახებ“ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 20 სექტემბრის №ბ14.14232632 ბრძანების საფუძველზე, სსიპ ,,სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო"-ს ელექტრონული აუქციონის პორტალ ww.eauction.ge-ზე გამართულ უპირობო ელექტრონულ აუქციონზე საპრივატიზაციოდ გამოტანილი იყო ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სატრანსპორტო საშუალება - ავტომანქანა - მარკა TOYOTA, მოდელი - COROLLA LE, სარეგისტრაციო ნომერი: DV815DV, საიდენტიფიკაციო ნომერი: JTNBM58E80J004099, გამოშვების წელი 2008.

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 20 სექტემბრის №ბ14.14232632 ბრძანების საფუძველზე გამოცხადებული აუქციონი დასრულდა 2023 წლის 03 ოქტომბერს 14:00 საათზე ისე, რომ არ მომხდარა მითითებული ქონების განკარგვა. ვაჭრობის ნაწილში აუქციონი ჩაიშალა.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 119-ე მუხლის მე-11 პუნქტის თანახმად: „თუ არ მოხდება აუქციონის ფორმით გამოტანილი მუნიციპალიტეტის ქონების განკარგვა, ქონების განმკარგავი სუბიექტი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება ამ ქონების იმავე პირობებით, გადაგაგრძელებული აუქციონის ფორმით განკარგვის შესახებ“.

მითითებული გარემოებების გათვალისწინებით, მიზანშეწონილია წინამდებარე ბრძანების დანართით წარმოდგენილი მოძრავი ქონების სატრანსპორტო

საშუალების პრივატიზებისათვის გამოცხადდეს ვადაგაგრძლებული უპირობო ელეტრონული აუქციონი.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 118-ე მუხლის პირველი პუნქტის და119-ე მუხლის, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილებით დამტკიცებული „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის,ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების“,„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების და სარგებლობის უფლებით გადაცემის დამატებითი წესების და აუქციონში გამარჯვების და მადასტურებელი ოქმის, ნასყიდობის ხელშეკრულებისა და საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის ფორმების დამტკიცების შესახებ“ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 11 აპრილის №37 დადგენილებისა და „ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზებო ობიექტების ნუსხის და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის №34 განკარგულების (ცვლილება: განკარგულება №g-15.15222725, 29.09.2022წ ) შესაბამისად,

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :**

1. გამოცხადდეს უპირობო ვადაგაგრძელებული ელექტრონული აუქციონი ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების სატრანსპორტო საშუალება - ავტომანქანის (მარკა TOYOTA, მოდელი - COROLLA LE, სარეგისტრაციო ნომერი: DV815DV, საიდენტიფიკაციო ნომერი: JTNBM58E80J004099, გამოშვების წელი 2008) პრივატიზებისათვის.

2. დამტკიცდეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების ვადაგაგრძელებული უპირობო ელექტრონული აუქციონის ფორმით პრივატიზების შესახებ გამოსაქვეყნებელი ინფორმაცია, თანახმად დანართისა.

3. ელექტრონული აუქციონის პროცედურები განხორციელდეს სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო“-ს ელექტრონული აუქციონის ვებგვერდი www.eauction.ge-ს მეშვეობით.

4. დაევალოს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების მართვის სამსახურს უზრუნველყოს აუქციონის შესახებ განაცხადის განთავსება ვებგვერდზე: www.eauction.ge.

5. წინამდებარე ბრძანება (ელექტრონული აუქციონის ფორმით ქონების პრივატიზების შესახებ ინფორმაცია) გამოქვეყნდეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ვებგვერდზე: www.batumi.ge.

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის:

ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ.№30) კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

არჩილ ჩიქოვანი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი